

საქართველოს სოც.



საბჭ. რესპუბლიკის

გუბათა და გლეხთა მთავრობის

კანონის და განკარგულების პრეგული

სახალხო კომისართა საგაოოს და ეკონომიკის საგაოოს

საქათა მმართველობის გამოცემა

1930 წ. დეკემბერი 19.

№ 21

ნებისმიერი კირკველი

ზ ი ნ ა რ ს ი:

ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილება.

317. საბჭოთა არჩევნებისა და საბჭოთა ყრილობების მოწვევის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ.

ინსტრუქცია მუშათა, გლეხთა და წითელარმიელთა დეპუტატების საბჭოების არჩევნებისა და საბჭოთა ყრილობების მოწვევის შესახებ.

ცენტრალური კომისარულების კომიტეტის დადგენილება

317. დადგენილება ც. ა. კ.

საბჭოთა არჩევნებისა და საბჭოთა ყრილობების მოწვევის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის კონსტიტუციის 95 მუხლის საფუძველზე და თანაბეჭდ სსრ კაშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის 1930 წ. ოქტომბრის 3-ის დადგენილებისა და მიერ-კავკანიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის 1930 წ. ოქტომბრის 19-ის დადგენილებისა, საბჭოთა არჩევნების ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ, სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

1. დამტკიცებულ და სამოქმედოდ შემოღებულ იქნეს მთლად საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის ტერიტორიაზე ამასთანავე დართული ინსტრუქცია მუშათა, გლეხთა და წითელარმიელთა დეპუტატების საბჭოების არჩევნებისა და საბჭოთა ყრილობების მოწვევის შესახებ.

2. 1-ლ მუხლში აღნიშნული ინსტრუქციის ძალაში შესვლის დღიდან გაუქმებულ იქნეს სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომი-

ტეტის მიერ 1928 წლის ნოემბრის 21-ს დამტკიცებული ინსტრუქცია მუშათა, გლეხთა და წითელარმიელთა დეპუტატების საბჭოების არჩევნებისა და საბჭოთა ყრილობების მოწვევის შესახებ (საქ. სსრ კან. კრ. 1929 წ. მე-5 №-ი, მუხ. 39).

3. მე-2 მუხლში აღნიშნული მომენტიდან ძალა-დაკარგულად ჩაითვალოს სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილებანი: 1) 1928 წ. დეკემბრის 5-ის თარიღისა, „განსაკუთრებული საარჩევნო ნორმების დაწესების შესახებ აქარისტანის ავტონომიური სოც. საბჭ. ოქანდლიკისათვის“ (საქ. სსრ კან. კრ. 1929 წ. მე-2 №-ი, მუხ. 19), 2) 1929 წ. იანვრის 30-ის თარიღისა, „საბჭოთა არჩევნების ინსტრუქციის მე-6 მუხლის „ბ“ პუნქტის შენიშვნის შეცვლისა და მე-8 მუხლისათვის მეორე შენიშვნის დამატების შესახებ“ (საქ. სსრ კან. კრ. 1929 წ. მე-6 №-ი, მუხ. 49), 3) 1929 წ. მაისის 10-ის თარიღისა, „საბჭოთა არჩევნების ინსტრუქციის მე-6 მუხლის „კ“ პუნქტის შეცვლის შესახებ“ (საქ. სსრ კან. კრ. 1929 წ. მე-14 №-ი, მუხ. 149), 4) 1930 წ. აგვისტოს 11-ის თარიღისა, „მუშათა, გლეხთა და წითელარმიელთა დეპუტატების საბჭოების არჩევნებისა და საბჭოთა ყრილობების მოწვევის თაობაზე“ გამოცემული სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის ინსტრუქციის მე-5 მუხლისათვის „კ“ ლიტერის დამატებისა და მე-6 მუხლის ლიტ. „ბ“ შენიშვნის შეცვლის შესახებ“ (საქ. სსრ კან. კრებ. 1930 წ. მე-16 №-ი, მუხ. 258) და 5) 1930 წ. აგვისტოს 11-ის თარიღისა, „მუშათა, გლეხთა და წითელარმიელთა დეპუტატების საბჭოების არჩევნებისა და საბჭოთა ყრილობების მოწვევის თაობაზე“ გამოცემული სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის ინსტრუქციის მე-8 მუხლისათვის მე-2 შენიშვნის დამატების შესახებ“ (საქ. სსრ კან. კრ. 1930 წ. მე-16 №-ი, მუხ. 259).

4. იმავე მომენტიდან ძალა-დაკარგულად ჩაითვალოს სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მიერ 1930 წ. ოქტომბრის 15-ის თარიღით „საბჭოებისა და საბჭოთა ყრილობების მორიგი არჩევნების თაობაზე“ გამოცემული დადგენილების 8—16 მუხლები.

5. სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მიერ 1930 წ. აპრილის 6-ის თარიღით საარჩევნო კანონმდებლობის დარღვევის აღკვეთის თაობაზე გამოცემული დადგენილების მე-2 მუხლის მეორე ნაწილი (საქ. სსრ კან. კრ. 1930 წ. მე-10 №-ი, მუხ. 133) მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„საარჩევნო კომისიების მუშაობის დასრულების შემდეგ საარჩევნო უფლებას მოკლებულ პირთა სიაში შეიძლება მხოლოდ იმ მოქალაქეების შეტანა, რომელნიც უფლება-აყრილი არიან სასამართლოს განაჩენით ან რომელნიც გაერთიანებული სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველოს ორგანოების მიერ აღმინისტრატიული წესით არიან გადასახლებული. აღნიშნული პირების შეტანა ნაარჩევნო უფლებას მოკლებულთა სიაში მოხდება სოფლებში და იმ ქალაქებში, სადაც სასოფლო საბჭოებია დაასესდებული, სარაიონო აღმასრულებელი

კომიტეტის დადგენილებით, ხოლო იმ ქალაქებში, სადაც საქალაქო საბჭოების და მათთან შეერთებულ სოფლებში,— საქალაქო საბჭოების დადგენილებით“.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრუ-
ლებელი კომიტეტის თავმჯდომარე მ. ცხაკარა.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრუ-
ლებელი კომიტეტის მდივანი ხ. თოდრია.

1930 წ. ნოემბრის 9.
ტფილისი-სასახალე.

ი ნ ს ტ რ უ ძ ვ ი ა

გუათა, გლეხთა და ჭითელასიელთა დეპუტატების საპარების არჩევ-
ნებისა და საგაოთა ყრილობების გოვარდნის.

თ ა ვ ი ।

მოქალაქეთა საარჩევნო უფლება.

1. უფლება აირჩიოს და არჩეულ იქნეს საბჭოებში ეკუთვნის, ეროვნები-
სა, რასისა, ბინადრობისა და სხვ. განურჩევლად, საქართველოს სოციალისტური
საბჭოთა რესპუბლიკის ორივე სქესის შემდეგ მოქალაქეთ, რომელთაც არჩევნე-
ბის დღისათვეს 18 წელი შესრულებით:

ა) ეინც ცხოვრების სახსარს სარგო და ზოგად-სასარგებლო შრომით პოუ-
ლობს, როგორიც არის მაგალითად: ვაჭრობა-მრეწველობასა და სასოფლო მე-
ურნეობაში დაქირავებული ყველა დარგისა და კატეგორიის მუშა და მოსამსა-
ხურე, მიწის მუშა-გლეხი, რომელიც დაქირავებულ შრომას არ გამოიყენებს
მოგების მიზნით, შინამრეწველი და ხელოსანი, საბჭოთა დაწესებულების მო-
სამსახურე და სხვ., აგრეთვე ვინც შინაურ მეურნეობას ეწევა და ამით შესა-
ძლებლობას აძლევს დასახელებული კატეგორიების პირთ გასწიონ სარგო შრომა;

ბ) მუშათა და გლეხთა წითელი არმიისა და წითელი ფლოტის წითელ-
არმიელთა და წითელფლოტელთ.

შენიშვნა. ამ მუხლში აღნიშნული პირნი არ დაკარგავენ საარჩევნო
უფლებას მაშინაც, თუ ისინი მოკლებული იქნებიან შრომის უნდას ან
დროებით უმუშევრად დარჩებიან.

2. აქტიური და პასიური საარჩევნო უფლებით საქართველოს სოციალის-
ტური საბჭოთა რესპუბლიკის მოქალაქეებთან თანასწორად საგრებლობს კავ-
შირის სხვა საბჭოთა რესპუბლიკის ყველა მოქალაქე, რომელიც საქართველოს
სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის ტერიტორიაზე იმყოფება, თუ ის შეე-
საბამება 1-ლი მუხლით გათვალისწინებულ პირობებს.

3. საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკა, იცავს რა ყველა ქვეყნისა და
ეროვნების შშრომელთა სოლიდარობას, ყველა პოლიტიკურ უფლებასთან ერ-
თად აქტიურ და პასიურ საარჩევნო უფლებას ანიჭებს უცხოელებსაც, რომელ-

ნიც მის ტერიტორიაზე რაიმე შრომას ეწევიან და ეკუთვნიან მუშათა კლასს, ან გლეხობას, რომელიც არ სარგებლობს სხვისი შრომით.

შენიშვნა. ცენტრალური საარჩევნო კომისიის ან აფხაზეთის სსრ-ისა, აჭარისტანის ავტონ. სსრ-ისა და სამხრეთ-ოსეთის ავტონ. ოლქის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებთან არსებული საარჩევნო კომისიების დის დადგენილებით საბჭოთა არჩევნებში მონაწილეობის უფლება შეიძლება მიენიჭოს აგრეთვე მოსამსახურეთა კატეგორიის უცხოელ მოქალაქებს, რომელიც საბჭ. სოც. რესპ. კავშირის ტერიტორიაზე ცხოვრობენ, უკეთუ საქმაოდ დამტკიცებულია მათი სრული ლიოალობა საბჭოთა მთავრობის მიმართ.

4. ვერ აირჩევენ და ვერ იქნებიან არჩეულნი, თუნდაც ეკუთვნოდენ მოქალაქეთა ერთ-ერთ 1-ლ მუხლში ჩამოთვლილ კატეგორიას:

ა) ვინც მოგების მიზნით სარგებლობდა ან ამ ეამად სარგებლობს დაქირავებული შრომით;

ბ) ვინც უშრომოთ მიღებული შემოსავლით ცხოვრობდა ან ამ ეამად ცხოვრობს, როგორრცაა კაპიტალის სარგებელი, საწარმოს შემოსავალი, ქონების შემოსავალი და სხვა;

გ) ვინც კერძო ვაჭრობას და აგრეთვე სავაჭრო და საკომერციო შუამავლობას ეწევოდა ან ამ ეამად ეწევა;

დ) კველა სარწმუნოებისა და რჯულის რელიგიური კულტის სასულიერო მსახურნი, როგორც ყოფილნი, ისე ახლანდელნი;

ე) მოსამსახურე და აგენტი ყოფილი პოლიციისა, ჯანდარმთა ცალკე კორპუსისა, დამცველი განკოფილებისა და საქართველოს მენშევიკური მთავრობის შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო რაზმისა, რუსეთში ყოფილი შეფის საგვარეულოს წევრი, აგრეთვე ის პირი, ვინც ხელმძღვანელობას უწევდა პოლიციას, უნდარმერიას და დამსჯელ ორგანოებს;

ვ) ვისაც სისხლის სამართლის კანონიერ ძალაში შესული განაჩენით გადაწყვეტილი აქვს სოციალური დაცვის ღონისძიება, რომელსაც თან სდევს უფლებათა შესლულდა, სასამაოთლოს განაჩენით დადგენილ ვადმიდე;

ზ) ვინც დადგენილი წესისამებრ ცნობილია სულით ავადმყოფად ან შეშლილად, ან ვინც მეურვეობაში იმყოფება.

5. მოქალაქეთა ცალკეული კატეგორიების შორის საარჩევნო უფლება ჩამოერთმევა:

ა) იმ მიწადმომქმედს, მესაქონლეს, შინამრეწველს და ხელოსანს, რომელიც გამოიყენებს სასეზონო ან მუდმივ დაქირავებულ შორმას ისეთი რაოდენობით, რითაც მისი მეურნეობა სცილდება შრომითი მეურნეობის ფარგალს.

შენიშვნა. შრომითი მეურნეობის დამახასიათებელი ნიშანი ამ შემთხვევაში ის არის, რომ დაქირავებულ შრომას აქვს დამხმარე მნიშვნელობა, და ოჯახში მყოფი კველა შრომისუნარიინი წევრი აუცილებლად მონაწილეობს ყოველდღიურ მუშაობაში.

ბ) იმ მიწადმომქმედსა და მესაქონლეს, რომელსაც სამიწადმომქმედო და სამესაქონლეო მეურნეობასთან ერთად აქვს სარეწაო და სამრეწველო საწარმო

(წისქვილი, ბურღულის საფეხული და სხვა) მექანიკური ძრავით, ან ისეთი, სა-დაც გამოყენებულია მუდმივი ან სასეზონო დაქირავებული შრომა;

გ) იმ პირს, რომელიც სისტემატიურად აქირავებს რთულ სასოფლო-სა-მეურნეო მანქანებს მექანიკური ძრავით, დიდი ოვეზსაჭერი ნავჭურჭლის შეპატ-რონეს, რომელსაც იგი იჯარით აქვს გაცემული, და აგრეთვე იმას, ვისაც დაუ-კაბალებია გარემო მოსახლეობა მუშა-საქონლისა, სასოფლო-სამეურნეო მანქა-ნებისა და სხვათა მიწოდებით, ან ვინც მუდმივად აწოდებს მოსახლეობას ფუ-ლად ან საქონლის კრედიტს კაბალურ პირობებზე (მევაბშეები);

დ) იმ პირს, რომელიც იჯარით იღებს მიწას ისეთ პირობებზე, რასაც სარიონო საგადასახადო კომისია სკომას კაბალურ პირობებად მიწის გამცემი-სათვის;

ე) იმ პირს, რომელიც იჯარით იღებს ბაღებს, ვენახებს და სხვას სავაჭ-რო და სამრეწველო ექსპლოატაციის მიზნით;

შენიშვნა. ბაღების, ვენახების და სხვ. იჯარით აღება ისეთი რაო-დენობით და ისეთი პირობებით, რაც არ გამოდგება საფუძვლად მოიჯა-რადრის მთლიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადით ინდივიდუალური წესით დაბეგვრისათვის, არ შეიძლება ჩაითვალოს აგრეთვე მოიჯარადრი-სათვის სარჩევნო უფლების ჩამორთმევის საფუძვლად.

ვ) იმ პირს, რომელიც სისტემატიურად აქირავებს საცხოვრებლად ან სა-წარმოს მოსათავსებლად გაწყობილ ცალკეულ შენობას, იმ შემთხვევაში, უკეთუ სათანადო მეურნეობა, შენობების ასეთი გაქირავებით მიღებული შემოსავლის რაოდენობის მიხედვით, მიეკუთხება იმ მეურნეობათა კატეგორიას, რომელიც მოლონა სასოფლო-სამეურნეო გადასახადით ინდივიდუალური წესით იძეგრე-ბიან;

ზ) სამრეწველო ტიპის საწარმოს შეპატრონეს და მოიჯარადრეს, რომე-ლიც ეწევა მოსახლეობის ექსპლოატაციის ამა თუ იმ სამუშაოს გაცემით სახლ-ში შესასრულებლად, ან ამ საწარმოს იჯარით ან ქვე-იჯარით გაცემით;

თ) ფაბრიკა-ქარხნის ტიპის საწარმოს შეპატრონეს და მოიჯარადრეს;

ი) თეთრი ჯარების ყოფილ ოფიცირებსა და მოხელეებს (უკეთუ ისინი არ უდგებიან მე-6 მუხლის „მ“ პუნქტის მოქმედებას), აგრეთვე კონტრრევოლიუ-ციონური ბანდების ხელმძღვანელებს;

კ) იმ პირს, ვინც პირდაპირ თუ არაპირდაპირ ხელმძღვანელობას უწევდა პოლიციის, უანდარმერიის და დამსჯელი ორგანოების მოქმედებას, როგორც სამეფო წყობილების დროს, ისე თეთრი კონტრრევოლიუციონური მთავრობე-ბის დროს, როგორიც არიან: ყოფილი მინისტრი, მისი ამხანავი, სამინისტრო-თა დეპარტამენტის დირექტორი, გენერალ-გუბერნატორი, იმ ადგილის მთავარ-მართებელი, სადაც შემოლებული იყო საგანგებო დაცვის წესები, სამხედრო და სამოქალაქო გუბერნატორი, ვიცე-გუბერნატორი, აგრეთვე მათთან მყოფი გან-საუთრებულ მინდობილობათა მოხელე, შინაგან საქმეთა სამინისტროს მოხელე, საპატიმრო უწყების კველა ყოფილი მოსამახასურე, თავად-აზნაურობის საგუბერ-ნიო და სამაზრო წინამდოლონი, სასამართლო პალატის სისხლის სამართლის დეპარტამენტის თავმჯდომარე და წევრი, აგრეთვე სასამართლოს პალატის პრო-

კურორი და პროექტორის ამხანაგი; განსაკუთრებულ დიდ საქმეთა გამომძიებელი; სამხედრო სასამართლოს თავმჯდომარე და წევრი; იმ საგამომძიებლო კომისიის თავმჯდომარე და წევრი, რომელიც კონტრევოლიუციონურ მთავრობათა ტერიტორიაზე მოქმედობდა; საგუბერნიო სამმართველოს წევრი; საერობო, საგლეხო და მაზრის უფროსი და ის პირი, რომელსაც რევოლიუციამდე ეჭირა საკომისადრო თანამდებობა სადისციპლინო ბატალიონში; აგრეთვე იმ პირს, ვისაც მეტევიცური მთავრობის დროს საქართველოში ეჭირა: მინისტრისა, მისი ამხანაგისა, გენერალ-გუბერნატორისა, საგანგებო კომისარისა, სახალხო გვარდიის შტაბის თავმჯდომარისა და წევრისა, საგანგებო და სამხედრო საერელ სასამართლოს წევრისა და პროექტორისა, შინაგან საქმეთა სამინისტროს კანცელარიის დირექტორისა და ვიცე-დირექტორისა, იმავე სამინისტროს აღმინისტრატიული განყოფილების უფროსისა და უფროსის თანაშემწისა, აღმინისტრაციის ინსპექტორისა და საპატიმროების ინსპექტორის თანამდებობა;

ლ) აღმინისტრატიული წესით გადასახლებულ პირს, გადასახლების ვადის განმავლობაში, აგრეთვე იმას, ვისაც საარჩევნო უფლება ჩამორთმეული აქვს სასამართლოს განაჩენით;

მ) იმ პირთა ოჯახის წევრებს, რომელთაც საარჩევნო უფლება ჩამორთმეული აქვთ ამა ინსტრუქციის მე-4 მუხლის „ა“, „ბ“, „გ“, „დ“ და „ე“ პუნქტებისა და ამა მუხლის შესაბამისი პუნქტების საფუძველზე, უკეთ ისინი ნიკოერად დამოკიდებული არიან საარჩევნო უფლებას მოკლებულ პირზე, და მათი არსებობის წყაროს არ წარმოადგენს დამოუკიდებელი ზოგად-სასარგებლო შრომა.

შენიშვნა. საპატიმრო ადგილებში მოთავსებული პირნი საბჭოების არჩევნებში მონაწილეობას არ მიიღებენ.

6. საარჩევნო უფლება არ ჩამორთმევათ შემდეგი კატეგორიების პირთ, უკეთ ისინი ამ უფლებას არ არიან მოკლებულნი სხვა საფუძვლების მიხედვით:

ა) მიწადმომქმედ გლეხს და მესაქონლეს, რომელიც გამოიყენებს თავის მეურნეობაში ერთი მუდმივი მუშის დაქირავებულ შრომას განსაკუთრებული გარემოების გამო, როგორიცაა: ავადმყოფობა, მობილიზაცია, მუშათა და გლეხთა წითელ არმიაში გაწევევა, საზოგადოებრივ თანამდებობაზე არჩევა, რაც მოითხოვს მეურნეობის ჩამოშორებას, და სხვა, სანამ ასეთი მდგომარეობა იარსებებს;

ბ) მიწადმომქმედს, რომელიც გაცხოველებული მუშაობის პერიოდში დაიკირავებს სასეზონო მუშა-ხელს პურის, ტეხნიკური კულტურის და ბალბის მოსახლის ასაღებად, ისეთი რაოდენობით, რაც ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის კონნექტებლობის მიხედვით არ გამოიწვევს ინდივიდუალური წესით დაბეგრძნას;

გ) მიწადმომქმედ გლეხს, რომელიც სხვაგან მიდის სასეზონო სამუშაოზე და ამ დროისათვის დაიქირავებს თავის მეურნეობაში არა უმეტეს ერთი მუშისა, და აგრეთვე ასეთი გლეხის ოჯახის წევრებს;

დ) მესაქონლეს, რომელსაც ერთი მწყემსი ჰყავს დაქირავებული, უკეთუ მწყემსის შრომას დამხმარე ხასიათი აქვს და ოჯახში მყოფი შრომისუნარიანი წევრები ყოველდღიურ მუშაობაში მონაწილეობას ღებულობენ;

ე) ფაბრიკისა და ქარხნის მუშას და მისი ოჯაბის წევრებს, რომელთაც არ გაუწევეტიათ კავშირი სოფლის მეურნეობასთან და რომელიც თავის მეურნეობაში გამოიყენებენ არა უმეტეს, ვიდრე ერთი მუდმივი დაქირავებული მუშის შრომას;

ვ) მიწადმომქმედ გლეხს, მესაქონლეს და მეთევზეს, რომლებიც თავის შრომის პროდუქტებს ბაზარზე იასლებენ;

ზ) საცხოვრებელ შენობების მეპატრონეს, როდესაც ამ შენობის შემოსავალი არ აღემატება საშემოსავლო გადასახადით დაუბერიავ მინიმუმს;

თ) სხვადასხვაგვარ საწარმოთა მეპატრონეს (კარაქის სადღვები და ზეთის სახდელი, ბურლულის საფქველი, მატყლის საჩეზი, ერთოვალიანი წისქვილი და სხვ.), სადაც არაა გამოყენებული მექანიკური ძრავი და დაქირავებული შრომა, იმ შემთხვევაში, უკეთუ მას დაკაბალებული არა ჰყავს გარემო მოსახლეობა სამუშაოს სახლში მიცემით, ან უკეთუ აღნიშნული საწარმოები იჯარით არა აქვს გაცემული;

ი) შინა-მრეწველსა და ხელოსაწნს, რომელიც ეწევა შრომის მეურნეობას დაქირავებულ მუშა-ძალის გამოუყენებლად, ან რომელსაც წარმოების პირობების გამო დაქირავებული ჰყავს ერთი მოზრდილი მუშა, ან აწარმოებს შრომითს მეურნეობას ორი შეგირდის დამხმარებით;

შენიშვნა. ამ პუნქტში აღნიშნულ შინა-მრეწველებსა და ხელოსნებს არ ჩამოერთმევა საარჩევნო უფლება იმ შემთხვევაშიაც, უკეთუ ისინი ყიდიან ბაზარზე მარტო თავის წარმოების ნაკეთობას;

კ) საქართველოს მეზევეიკური მთავრობის არმიის ყოფილ ოფიციების;

ლ) იმ მუშებს, მშრომელ გლეხებსა და ყაზახებს, მოსამსახურებს, შინა-მრეწველებსა და ხელოსნებს, რომელნიც თავის დროზე თეთრი ჯარების რიგებში მობილიზაციით იყენენ გაწვეულნი;

მ) თეთრი ჯარების იმ ყოფილ ოფიცერსა და სამხედრო მოხელეს, რომელიც შემდეგ იმყოფებოდენ მუშათა და გლეხთა წითელ არმიის რიგებში და აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ საბჭოთა ხელისუფლების შეიარაღებულ დაცვაში; აგრეთვე იმათ, ვინც ამერად იმყოფება მუშათა და გლეხთა წითელი არმიის ნამდებილ სამხედრო სამსახურში;

შენიშვნა. მონაწილეობის მიღება საბჭოთა ხელისუფლების შეიარაღებულ დაცვაში გულისხმობს სამხედრო დავალებათა უოველივე შესრულებას სამოქალაქო ომის დროს მუშათა და გლეხთა წითელ არმიის ნაწილებში და სამმართველოებში, როგორც ფრონტზე, ისე ზურგში.

ნ) საქართველოს მეზევეიკური მთავრობის მილიციის ყოფილ კომისრებს და მილიციის სხვა თანამშრომლებს;

ო) იმ პირს, ვინც ცხოვრობს სახელმწიფო სესხის მოგებისა და პროცენტების შემოსავლით, აგრეთვე სახელმწიფო შემნახველ შრომითს სალაროში შეტანილი ფულის შემოსავლით.

შენიშვნა. საზღვარგარეთიდან სსრ კავშირის მოქალაქის მიერ არ-
სებულ წესით ფულადი თანხისა და ფასეულობის მიღება (პენსია, მემკვი-
დრეობა, ალიმენტი, დაზღვევა) თავისთვად არ შეიძლება საფუძვლად
დაედვას ამ პირებისათვის საარჩევნო უფლების ჩამორთმევას.

3) შრომისა და ომის ინგალიდებს, რომლებიც განსაკუთრებულ მიზეზების
გამო ეწევიან წვრილ ვაჭრობას და დაბეგრილი არიან სარეწაო გადასახადით
იმ საწარმოთა და სარეწაოთა ნუსხის მე-5 მუხლის თანახმად, რომელიც მტკი-
ცე განაკვეთით იბეგრებიან (კერძო საწარმოთა და სარეწაოთა სარეწაო გადა-
სახადის დებულების 1-ლი დანართი), აგრეთვე იმ პირთ, რომლებიც დროებით
აწარმოებენ ასეთსავე წვრილ ვაჭრობას უმუშევრობისა ან დროებითი ინვალი-
დობის გამო;

4) იმ პირს, რომელიც თავისი შრომისათვის იღებს საპროცენტო სისყი-
დელს სახელმწიფო და კომპერატიული ორგანიზაციებისაგან, აგრეთვე იმ სა-
აქციო საზოგადოებისაგან, რომელიც სახელმწიფო ან კომპერატიული კაპიტა-
ლის უპირატესი მონაწილეობით მოქმედებს;

5) იმ პირს, ვინც დაქირავებით ან რელიგიური საზოგადოების არჩევით
ასრულებს აღმინისტრატიულ-ხამეურნეო და ტეხნიკურ მოვალეობას რელიგიუ-
რი წესების შესრულებისა და რელიგიური შენობების მოვლის საქმეში, როგო-
რიც არის მაგალითად: მგალობელი, ორგანისტი, დარაჯი, დამლაგებელი, ზა-
რების მრევაცი და სხვ., აგრეთვე საეკლესიო-სამრევლო საბჭოს წევრს;

6) თავისუფალი პროფესიის პირს, რომელიც ზოგად-სასარგებლო შრომას
ეწევა;

ტ) იმ პირის ოჯახის წევრებს, რომელიც საარჩევნო უფლებას მოქლებუ-
ლია, უკეთუ ისინი ნივთიერად ამ პირზე დამოქიდებული არ არიან, და მათი
არსებობის წყაროს წარმოადგენს დამოუკიდებელი და ზოგად-სასარგებლო
შრომა.

საარჩევნო უფლება არ ჩამოერთმევათ ასეთ უფლებას მოქლებულ პირთა
იმ შეიღებასაც, რომლებმაც სრულწლოვანებას მიაღწიეს 1925-სა და შემდეგ
წლებში და რომლებიც სრულწლოვანებამდე იმყოფებოდენ შობელთა კმაყო-
ფაზე, დღეს კი ეწევიან დამოუკიდებელ ზოგად-სასარგებლო შრომას, თუნდაც
ისინი დედ-მამასთან ცხოვრობდენ.

თ ა ვ ი ॥.

მოქალაქეთათვის საარჩევნო უფლების აღდგენის წესი.

7. იმ პირთ, ვინც მოქლებული არიან საარჩევნო უფლებას, როგორც
ებსპლოატატორთა კლასის წარმომადგენელი (მემამულე, ბურჟუაზია, რელი-
გიური კულტის მსახურნი), აგრეთვე პოლიციისა, უანდარმერიისა და საპატიორო
უწყების ყოფილ დაბალ ტეხნიკურ მოსამსახურებს შეიძლება აღდგინოს საარ-

ჩენონ უფლება, უკეთუ ისინი არა ნაცელებ ხუთი წლისა ეწევიან სარგო და ზოგად-სასარგებლო შრომას და დამტკიცეს თავისი ლოიალობა საბჭოთა ხელის-უფლების მიმართ.

ამ პირთ საარჩევნო უფლება აღდგინება სარაიონო საარჩევნო კომისიისა, ქუთაისის, ფოთის, ბათომის და სოხუმის საქალაქო-საარჩევნო კომისიებისა, აფხაზეთის სსრ-ის, აჭარისტანის ავტონ. სსრ-ის და სამხრეთ-ოსეთის ავტონ. ოლქის ცაკებთან არსებული საარჩევნო კომისიებისა და ცენტრალური საარჩევნო კომისიის დადგენილებით. აღნიშნული კომისიების დადგენილება საარჩევნო უფლების აღდგენის შესახებ უნდა დამტკიცებულ იქნეს სათანადო სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტის, ქალაქის საბჭოს ან სათანადო ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის მიერ კუთვნილებისამებრ.

შენიშვნა. აღნიშნულ ორგანოებს შეუძლიანო აღუდვინონ ამ მუხლზე ჩი ჩამოთვლილ პირებს საარჩევნო უფლება ხუთი წლის სტაუსის უქონლადაც იმ შემთხვევაში, უკეთუ ეს პირები პროფკავშირის წევრები არიან, და ამის შესახებ აღმრული იქნება სათანადო შუამდგომლობა.

8. იმ პირთ, ვინც საარჩევნო უფლებას მოკლებული არიან ამა ინსტრუქციის მე-4 მუხლის „ე“ პუნქტისა და მე-5 მუხლის „კ“ პუნქტის ძალით, პოლიციის, უანდარმერიის და საპატიმრო უწყების დაბალ ტეხნიკურ მისამასურეთა გამოკლებით, რომელნიც მე-7 მუხლში არიან აღნიშნულნი, ცალკეულ შემთხვევაში შეიძლება აღდგინოს საარჩევნო უფლება სრ. საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის განსაკუთრებული დადგენილებით, უკეთუ ეს პირნი ამჟამად სარგო და ზოგად-სასარგებლო შრომას ეწევიან ან და დამტკიცეს თავისი ლოიალობა საბჭოთა ხელისუფლების მიმართ.

9. საარჩევნო კომისიების მუშაობის დამთავრების შემდეგ მე-7 მუხლში აღნიშნულ პირთა შუამდგომლობას საარჩევნო უფლებაში აღდგენის შესახებ უშუალოდ გადასწყვეტს სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტი, ტურილისის, ქუთაისის, ფოთის, ბათომის და სოხუმის საქალაქო საბჭო, აფხაზეთის სსრ-ის, აჭარისტანას ავტონ. სსრ-ის და სამხრეთ-ოსეთის ავტონ. ოლქის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტების პრეზიდიუმები, ან სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმი.

10. აღმინისტრატორულად გადასახლებულებს, აგრეთვე იმ პირთ, ვის შე-სახებაც სასამართლოს გამოტანილი აქვს განაჩენი, რომელიც მათ ართმევს საარჩევნო უფლებას (მუხ. 5, 3. „ლ“), საარჩევნო უფლება აღდგინება, თუ კი ეს უფლება მათ არა აქვთ ჩამორთმეული რაიმე სხვა საფუძველზე, თვიწიერ სათანადო ორგანოს სპეციალური დადგენილებისა, იმ მომენტიდან, როდესაც მათ მიმართ შესწყვება აღმინისტრატიული ან სასამართლოს რეპრესიის მოქმედება.

11. იმ პირთ, რომელთაც საარჩევნო უფლება აღდგენილი აქვთ ზემდგომი საბჭოებისა და აღმასრულებელი კომიტეტების მიერ, არ შეიძლება ჩამოერთვას საარჩევნო უფლება იმავე საფუძველზე ხელისუფლების ქვემდგრმი ორგანოების მიერ.

თ ა ვ ი III.

საარჩევნო კომისიები.

12. საბჭოთა ორჩევნებისათვის დაარსდება შემდეგი საარჩევნო კომისიები:

ა) ცენტრალური საარჩევნო კომისია;

ბ) აფხაზეთის სოც. საბჭ. რესპუბლიკისა, აჭარისტანის ავტონომიური სოც. საბჭ. რესპუბლიკისა და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის საარჩევნო კომისიები;

გ) სარაიონო-საჭარჩევნო კომისიები;

დ) საქალაქო-საარჩევნო კომისიები;

ე) სასოფლო-საარჩევნო კომისიები.

13. ცენტრალურ საარჩევნო კომისიას შეადგენს სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმი 23 წელისაგან საარჩევნო კომისიის მომზადებისა და გატარების ხელმძღვანელობისათვის მთელს რესპუბლიკში.

14. აფხაზეთის სოც. საბჭ. რესპუბლიკისა, აჭარისტანის ავტონომიური სოც. საბჭ. რესპუბლიკისა და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის საარჩევნო კომისიებს შეადგენს აღნიშნული რესპუბლიკებისა და ოლქის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტების პრეზიდიუმები. ამ კომისიებში შევლენ: თავმჯდომარე, ორი წარმომადგენელი სათანადო რესპუბლიკისა და ოლქის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და თითო წარმომადგენელი პროფესიონალური შენაერთისა, ახალგაზრდა ლენინელთა სრულიად საკავშირო კომისიისტური კავშირისა, მუშა-ქალთა და გლეხ-ქალთა შრომისა და ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესების ადგილობრივი კომიტეტისა, ადგილობრივი ქალაქის საბჭოსი, ეროვნულ უმცირესობათა, წითელი არმიისა და ფლოტისა, წარმოებათა მუშებისა, კოლმეურნებისა, გლეხთა ურთიერთ დამბმარე საზოგადებათა და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა (კომპერაციის, „თავდაცვა-ავიაკიმიის“ და სხვ.).

აღნიშნული საარჩევნო კომისიების წევრებს დაამტკიცებს სათანადო რესპუბლიკისა და ოლქის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმი, ხოლო თავმჯდომარეებს დანიშნავს, ცენტრალურ საარჩევნო კომისიის წარდგენით, სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმი.

15. სარაიონო საარჩევნო კომისიას შეადგენს სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტი. ამ კომისიის შემადგენლობაში უნდა შედიოდნენ თავმჯდომარე, ორი წარმომადგენელი სტარიონო აღმასრულებელი კომიტეტისა და თითო წარმომადგენელი რაიონში შემავალი საქალაქო საბჭოებისა, პროფესიონალური შენაერთისა, ახალგაზრდა ლენინელთა სრულიად საკავშირო კომისიისტური კავშირისა, მუშა-ქალთა და გლეხ-ქალთა შრომის და ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესების ადგილობრივი კომიტეტისა, ეროვნულ უმცირესობათა, წარმოებათა მუშებისა, კოლმეურნებისა, სარაიონო გლეხკომისა და სხვა საზოგადოებრივი

ორგანიზაციებისა (კომპერაციისა, თავდაცვა-ავიაქიმიისა და სხვ.), აგრეთვე წითელი არმიისა და ფლოტისა (იმ აღვილებში, სადაც მათი ნაწილებია დაბინავებული).

16. საქალაქო საარჩევნო კომისიები, სათანადო საბჭოს დადგენილებით, მოეწყობიან ქალაქ ტფილისში, ბათომში, სოხუმში, ქუთაისში, ფოთში, გორში, სტალინისში, ბორჯომში, ჭიათურაში და სამდრედიაში.

17. საქალაქო საარჩევნო კომისიების შემადგენლობაში შევლენ: თავმჯდომარე, ორი წარმომადგენელი სათანადო ქალაქის საბჭოსი და თითო წარმომადგენელი პროფესიური შენარჩინისა, ახალგაზრდა ლენინელთა სრულიად საკავშირო კომუნისტური კავშირისა, ქალთა სადელეგატო კრებებისა, ეროვნულ უმცირესობათა, წარმოებათა მუშებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა (კომპერაციისა, „თავდაცვა-ავიაქიმიისა“ და სხვ.), აგრეთვე წითელი არმიისა და ფლოტის წარმომადგენელი (იმ ქალაქებში, სადაც მათი ნაწილებია დაბინავებული).

ტფილისის, ქუთაისის და ფოთის საქალაქო საარჩევნო კომისიებში, გარდა აღნიშნული ორგანიზაციების წარმომადგენლებისა, უნდა შედიოდენ აგრეთვე წარმომადგენლები იმ სოფლის საბჭოებისა, რომლებიც აღნიშნული ქალაქების საბჭოებთან არიან შეერთებული, გლეხთა ურთიერთ-დამხმარე სახოგადოებათა, კოლმეურნეებისა და მუშა-ქალთა და გლეხ-ქალთა შრომისა და ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესების კომიტეტებისა.

18. სარაიონო-საარჩევნო კომისიებისა და ტფილისის, ქუთაისის და ფოთის საქალაქო საარჩევნო კომისიების წევრებს დაამტკიცებს სათანადო სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტი ან საქალაქო საბჭო კუთვნილებისამებრ, ხოლო თავმჯდომარეებს ცენტრალური საარჩევნო კომისიის წარდგენით დაამტკიცებს სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმი.

19. ბათომისა და სოხუმის საქალაქო საარჩევნო კომისიების წევრებს დაამტკიცებს სათანადო ქალაქის საბჭო, ხოლო თავმჯდომარეებს სათანადო რესპუბლიკის საარჩევნო კომისიის წარდგენით დანიშნავენ კუთვნილებისამებრ აფხაზეთის სსრ და აფარისტანის ავტონომ. სსრ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტების პრეზიდიუმები.

20. გორის, სტელინისის, ბორჯომის, ჭიათურის და სამტრედიის საქალაქო საარჩევნო კომისიების წევრებს დაამტკიცებს სათანადო ქალაქის საბჭო, ხოლო თავმჯდომარეებს დანიშნავს სათანადო სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტი.

21. ქალ. ტფილისში, ბათომში, სოხუმში და ქუთაისში სათანადო ქალაქის საბჭოს დადგენილებით შეიძლება დაარსებულ იქნენ დამხმარე საარჩევნო კომისიები დიდ ფაბრიკებში, ქარხნებში და სხვა საწარმოებში.

22. სასოფლო საარჩევნო კომისია მოეწყობა სასოფლო საბჭოსთან. ამ კომისიაში შევლენ: თავმჯდომარე, ორ-ორი წარმომადგენელი სასოფლო საბჭოსი და გლეხთა ურთიერთ დამხმარე სახოგადოებათა და თითო წარმომადგენელი ახალგაზრდა ლენინელთა სრულიად საკავშირო კომუნისტური კავშირისა, ქალთა დელეგატთა კრებისა, ეროვნულ უმცირესობათა, ლარიბ გლეხ-

თა ჯგუფებისა, მოჯამავირებისა, წარმოებათა მუშებისა, პროფესიონალური კავშირებისა და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა (კომპერაციის, „თავ-დაცვა-ავიაქიმისა“ და სხვ.), აგრეთვე წითელი არმიისა და ფლოტის წარმომადგენელი (იმ ადგილებში, სადაც მათი ნაწილებია დაბინავებული).

სასოფლო-საარჩევნო კომისიის წევრებს დამტკიცებს სასოფლო საბჭო, ხოლო კომისიის თავმჯდომარეს დანიშნავს სათანადო სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტი.

შენიშვნა. სასოფლო-საარჩევნო კომისიების თავმჯდომარებს იმ სოფლებში, რომლებიც ქალაქებთან არიან შეერთებული, დანიშნავს სათანადო საქალაქო საბჭო.

23. საარჩევნო კომისიები შესდგებიან საბჭოთა არჩევნების დროისათვის და დაიშლებიან ერთი თვის შემდეგ საარჩევნო კამპანიის დამთავრების დღიდან, სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის განკარგულებით.

შენიშვნა. 1. საარჩევნო კომისიები თვის მუშაობისათვის გამოიყენებენ იმ აღმასრულებელი კომიტეტებისა და საქალაქო და სასოფლო საბჭოების აპარატს, რომლებთანაც ისინი არიან დარსებული.

შენიშვნა. 2. საარჩევნო კომისიების წევრები კომისიებში მუშაობისათვის განსაკუთრებულ გასამრჯელოს არ მიიღებენ.

24. საარჩევნო კომისიები ვალდებული არიან:

ა) ხელმძღვანელობა გაუშიონ სათანადო ტერიტორიის ფარგლებში საბჭოთა არჩევნების მომზადებასა და გატარებას;

ბ) თვალყური აღენონ არჩევნების კანონიერებას და ყველა იმ წესებისა, ნორმებისა და ვადის შესრულებას, რაც დადგნილია საარჩევნო კამპანიისათვის, და შეუძლებელჲონ მათი დარღვევა;

გ) თვალყური აღენონ, რომ არჩევნების დროს არ მოხდეს აღმინისტრატიული ძალატანება ამომრჩევლების მიმართ;

დ) ხელმძღვანელობა გაუშიონ ქვემდგომი საარჩევნო კომისიებისა და მათი აწმუნებულების მუშაობას;

ე) მოახენონ სათანადო აღმასრულებელ კომიტეტებს ქვემდგომი საარჩევნო კომისიების დაშლისა ან ცალკე წევრების გადაყენების შესახებ;

ვ) ანგარიში მოსთხოვონ ქვემდგომ საარჩევნო კომისიებს მათი მუშაობის შეხახებ და ზემდგომ საარჩევნო კომისიებსა და სათანადო საბჭოებსა და აღმასრულებელ კომიტეტებს წარუდგინონ ცნობები შემოლებული ფორმით არჩევნების მსელელობის თაობაზე, აგრეთვე ყოველივე საჭირო შასალა და ანგარიში არჩევნების შესახებ;

ზ) განიხილონ დაწესებულ ვადაზე საჩივრები ქვემდგომი საარჩევნო კომისიების მოქმედების გამო და, უკეთუ საჭირო იქნება, გააუქმინ ამ კომისიების დადგენილებანი;

თ) გაგზავნონ თავის წარმომადგენლები ქვემდგომ საარჩევნო კომისიებში მუშაობისა და საარჩევნო კამპანიის მსელელობის გასაცნობად.

ცენტრალურ საარჩევნო კომისიის დაეკისრება აგრეთვე გამოსცეს ხელის-უფლების ორგანოებისა და მოსახლეობისათვის სავალდებულ განმარტებანი საქ. სსრ საარჩევნო კანონმდებლობის შეფარდების შესახებ.

შენიშვნა. ზემდგომი საარჩევნო კომისიის ფუნქციებს იმ სასოფლო საარჩევნო კომისიების მიმართ, რომლებიც ქალაქებთან შეერთებულ სოფ-ლებში არიან დაარსებული, განახოვისელებს საჭანადო საქალაქო საარ-ჩევნო კომისია.

25. საქალაქო და სასოფლო-საპრინციპო კომისიებს, გარდა იმ მოვალეო-ბათა, რაც ამა ინსტრუქციის 24 მუხლიდან გამომდინარებას, დაეკისრება:

ა) შეადგინონ და დაამტკიცონ საარჩევნო უფლების მქონე პირთა (ამომრ-ჩეველთა) სიები;

ბ) შეადგინონ იმ პირთა სიები, რომელიც მოკლებული არიან საარჩევ-ნო უფლებას, წარუდგინონ ეს სიები დასამტკიცებლად საქალაქო საბჭოს და სა-რაიონო აღმასრულებელ კომიტეტს კუთვნილებისამებრ და გამოაქვეყნონ ისინი აღნიშნული ორგანოებს მიერ დამტკიცების შემდეგ.

გ) დაჰყონ სათანადო ტერიტორია საარჩევნო უბნებად;

დ) დაუგზავნონ სახელობითი საარჩევნო უწყებები ამომრჩეველებს და მიი-ლონ სხვა ლონისძიებანი საარჩევნო კრებების დროისა და ადგილის შესატყობი-ნებლად;

ე) დანიშნონ თავის რწმუნებულები არჩევნებისათვის ცალკეულ საარჩევნო ჯგუფებში (პროფესიონალურ კავშირებში, მეოჯახე ქალთა, შინამრეწველთა, გლეხთა, წითელარმიიელთა და სხვათა შორის).

შენიშვნა. სახელობითი საარჩევნო უწყებები საარჩევნო კრების და-ნიშნის შესახებ ქ. ტფილისში დაეგზავნება მხოლოდ იმ ამომრჩეველებს, რომელიც არ შედიან საწარმოებსა და დაწესებულებებში და შეკავშირე-ბული არ არიან პროფესიონალურ ორგანიზაციებად.

თ ა ვ ი IV.

ამომრჩეველთა და საარჩევნო უფლებას მოკლებულ პირთა სიების შედგენა.

26. როგორც ამომრჩეველთა, ისე საარჩევნო უფლებას მოკლებულ პირთა სიების შედგენისა და ზემოწმების დროს სათანადო ორგანოებმა უნდა იხელ-მდოვანელონ ამა ინსტრუქციის 1—6 მუხლებით, რომელებითაც განხრახულია, საქ. სსრ კონსტიტუციის თანახმად, იმ პირთა წრე, ვინც საარჩევნო უფლებით სარგებლობს, და აგრეთვე იმ პირთა და მოქალაქეთა ცალკეულ კატეგორიების წრე, ვინც საარჩევნო უფლებას მოკლებულია.

27. საარჩევნო უფლების მქონე პირთა (ამომრჩეველთა) სიებს შეადგენენ და დაამტკიცებენ საქალაქო და სასოფლო საარჩევნო კომისიები: სოფლებ—ცალკე თვითონაული სოფლისათვის, ხოლო ქალაქებში—საწარმოო ან პროფესიო-ნალური ერთეულების მიხედვით. იმ ამომრჩეველთა სიები, რომლებიც არ შე-დიან საწარმოებში და დაწესებულებებში და არ არიან შეკავშირებული პრო-

ფესიონალურ ორგანიზაციებში, შედგენილი იქნებიან ტერიტორიალურ ერთეულების მიხედვით (რაიონი, უბანი და სხვ.).

28. საარჩევნო უფლებას მოკლებულ პირთა მუდმივი სახელობრივი აღრიცხვა და ევალება სასოფლო და საქალაქო საბჭოებს. საქალაქო საბჭოები ამ აღრიცხვას განახორციელებენ სათანადო აღმინისტრატიული ორგანოების (აღმინისტრატიული განყოფილებები) მეშვეობით.

29. 28 მუხლში აღნიშნული ორგანოები ვალდებული არიან შეკრიბონ დოკუმენტალური ხასიათის ცნობები იმ პირთა შესახებ, ვისაც საარჩევნო უფლება უნდა ჩამოერთოს. ასეთი ცნობები იქნება:

ა) იმ პირთათვის, რომელთაც საარჩევნო უფლება სასამართლოს მიერ აქვს ჩამორჩმეული, ან ვის შესახებაც სასამართლოს გამოტანილი აქვს განაჩენი მათი განდევნის შესახებ მუდმივი საცხოვრებელი ადგილიდან,—განაჩენის ასლი ან სათანადო სასამართლო ორგანოს ცნობა;

ბ) იმ პირთათვის, ვინც დაქირავებულ შრომას გამოიყენებს მოგების გამოსარჩენად, ან ვინც ვაჭრობას ეწევა, აგრეთვე იმ პირთათვის, რომლებიც უშრომოთ მიღებული შემოსავლით ცხოვრობენ, საფინანსო ორგანოების ცნობები მათ მიერ საშმოსავლო და სარეწავო გადასახადების გასტუმრების შესახებ, დამსლევე სალაროების ცნობები დაზღვევის თანხების შეტანის შესახებ, ცნობები მათხე იჯარით გაცემული სავაჭრო სადგომების შესახებ და სხ.

გ) სულით ავადმყოფთა და შეშლილთათვის—ჯანმრთელობის ორგანოების აქტები ან აქტების შემოწმებული ასლები სულით ავადმყოფად ან შეშლილათ ცნობის შესახებ; მეურვეობაში მყოფთათვის—სათანადო სამეურვეო ორგანოების ცნობები;

დ) ყოფილი პოლიციის მსახურთა და აგენტებისა, რელიგიური კულტის მსახურთა და ცეკვა დანარჩენ პირთათვის, ვინც ამა ინსტრუქციის მე-5 მუხლშია ჩამოთვლილი—აღმინისტრატიული ორგანოებისა, საქალაქო და სასოფლო საბჭოებისა ან გაერთიანებული სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველოს ორგანოების ცნობები.

30. ის ორგანოები, რომლებიც საარჩევნო უფლებას მოკლებულ პირთა აღრიცხვას აწარმოებენ, გადასცემენ სათანადო სასოფლო და საქალაქო საარჩევნო კომისიებს მათ მიერ შეკრეფილ მსალას, რაც წარმოადგენს საფუძველს საარჩევნო უფლებას მოკლებულ პირთა სიების შედგენისათვის.

31. საარჩევნო უფლებას მოკლებულ პირთა სიებს შეადგენენ საბჭოთა არჩენების მომზადებისა და ჩატარების პერიოდში მხოლოდ სასოფლო და საქალაქო საარჩევნო კომისიები და დამტკიცებენ: სოფლებში და იმ ქალაქებში, სადაც სასოფლო საბჭოებია, —სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტები, ხოლო იმ ქალაქებში, სადაც საქალაქო საბჭოებია, და მათთან შეერთებულ სოფლებში საქალაქო საბჭოები.

საარჩევნო უფლებას მოკლებულ პირთა სიების შედგენა მოხდება დოკუმენტალური ხასიათის ცნობების მიხედვით (ჩ. 29).

32. საქ. სოც. საბჭ. რესპუბლიკის ტერიტორიაზე მცხოვრები უცხოელნი, რომელიც არა მშრომელთა კატეგორიებს ეყუთნიან და რომელიც ამა იხსტ-რუქის მე-3 მუხლის ძალით საარჩევნო უფლებით ვერ ისარგებლებენ, არ უნდა იქნენ შეტანილი საარჩევნო უფლებას მოკლებულ პირთა სიაში, ან ამომრ-ჩეველთა სიაში.

33. საარჩევნო კომისიები გამოაქვეყნებენ სარაიონო აღმასრულებელი კო-მიტეტებისა და საქალაქო საბჭოების მიერ დამტკიცებულ იმ პირთა სიებს, რომლებიც საარჩევნო უფლებას მოკლებული არიან, ადგილობრივ ბეჭედითი ორგანიზმი გამოცხადებისა და ოვალსაჩინო ადგილას გამოყიდების გზით 15 დღით აღრე მაინც სათანადო საბჭოს არჩევნებამდე.

34. საარჩევნო კომისიების მუშაობის დასრულების შემდეგ საარჩევნო უფ-ლებას მოკლებულ პირთა სიაში შეიძლება შეტანილ იქნეს მხოლოდ ის, ვინც სასამართლოს მიერ უფლება აყრილია ან ვინც გაერთიანებული სახელმწიფო პოლიტიკური სამართველოს ორგანიზმის მიერ აღმინისტრატიული წესითა გადასახლებული. სოფულებში და იმ ქალაქებში, სადაც სასოფულო საბჭოებია, აღნიშნული პირების შეტანა საარჩევნო უფლებას მოკლებულთა სიაში დაევა-ლება სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს, ხოლო იმ ქალაქებში, სადაც სა-ქალაქო საბჭოებია, და მათთან შეერთებულ სოფულებში,—საქალაქო საბჭოებს.

35. საარჩევნო უფლებას მოკლებულ პირთა სიებიდან იმ მოქალაქეების გამორიცხვა, რომლებიც ამ სიებში უმართებულოდ არიან ჩარიცხული, შეუძ-ლიან როგორც იმ ორგანოს, რომელმაც სიები დაამტკიცა (სარაიონო აღმასრუ-ლებელი კომიტეტი და საქალაქო საბჭო), ისე აფხაზეთის სსრ-ისა, აჭარისტანის ავტონ. სსრ-ისა და სამხრეთ-ოსეთის ავტონ. ოლქის საარჩევნო კომისიებს, და აგრეთვე ცენტრალურ საარჩევნო კომისიას.

თ ა ვ ი ვ .

საარჩევნო უფლებას მოკლებულ პირთა საჩივრების განხილვა.

36. იმ პირს, რომელიც ჩარიცხულია საარჩევნო უფლებას მოკლებულ პირ-თა სიაში, შეუძლიან გაასაჩივროს ეს დადგენილება იმ წესით, რაც აღნიშნუ-ლია ამა ინსტრუქციის მე-37—41 მუხლებში.

37. მოქალაქემ საჩივარი უნდა შეიტანოს იმ საარჩევნო კომისიაში, რომელ-მაც სია შეადგინა.

38. საარჩევნო კომისია, რომელიც საჩივარს მიიღებს, ვალდებულია სამი დღის განმავლობაში მიღების შემდეგ გაუგზავნოს იგი თავის დასკვნით და მთე-ლი ქონებულ მასალით სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტს ან საქალაქო ხაბ-ჭოს კუთხით მიღებისაშებრ, ამასთან სასოფულო საარჩევნო კომისია საჩივარს გაგ-ზავნის სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტში სარაიონო საარჩევნო კომისიის მეშვეობით, რომელიც თავის მხრივ მისცემს საჩივრის გამო დასკვნას სამი დღის ვადაზე საჩივრის მიღების შემდეგ.

შენიშვნა. სასოფლო-საარჩევნო კომისია იმ სოფლებში, რომლებიც ქალაქებთან არიან შეერთებული, გაგზავნის საჩივარს სათანადო საქალაქო საბჭოში საქალაქო-საარჩევნო კომისიის მეშვეობით, რომელიც თავის მხრივ მისცემს საჩივრის გამო დასკვნას სამი დღის ვადაზე საჩივრის მიღების შემდეგ.

39. სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმი ან საქალაქო საბჭოს პრეზიდიუმი განიხილავენ საჩივარს სამი დღის განმავლობაში და თავის გადაწყვეტილებას აცნობებენ მოჩივარს სათანადო საარჩევნო კომისიის მეშვეობით.

40. სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტის და საქალაქო საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილება, რომლითაც მოჩივარს უარი ეთქვა საარჩევნო უფლებას მოქლებულ პირთა სიიდან გამორიცხვაზე, შეიძლება განსაჩივრებული იქნეს: სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტისა და იმ საქალაქო საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილება, რომელიც ცალკეულ აღმინისტრატიულ-სამეურნეო ერთეულადაა გამოყოფილი, — ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში ან აფხაზეთის სსრ-ისა, აქარისტანის ავტონ. სსრ-ისა და სამხრეთ-ოსეთის ავტონ. ოლქის საარჩევნო კომისიებში კუთვნილებისამებრ, ხოლო იმ საქალაქო საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილება, რომელიც სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტს ექვემდებარება, — სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტში. აღნიშნული ორგანოები შვიდი დღის განმავლობაში განიხილავენ მათთან შემოსულ საჩივრებს და თავის გადაწყვეტილებას აცნობებენ მოჩივრებს და სათანადო სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტს ან საქალაქო საკონს.

შენიშვნა. ამ მუხლში აღნიშნული საჩივრები უნდა შეტანილ იქნენ

იმ სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტისა და საქალაქო საბჭოს პრეზიდიუმის მეშვეობით, რომელმაც გამოიტანა დადგენილება პირვანდელი საჩივრის დაქმაყოფილების უარყოფის შესახებ; აღნიშნული პრეზიდიუმი ვალდებულია სამი დღის ვადაზე გაგზავნოს საჩივარი კუთვნილებისამებრ თავისი დასკვნით და ყველა იმ მასალის თანდართვით, რაც საფუძვლად დაედვა უწყებული პირისთვის საარჩევნო უფლების ჩამორთმევას.

41. სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილება მე-40 მუხლში აღნიშნული საჩივრების გამო შეიძლება განსაჩივრებულ იქნეს ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში ან აფხაზეთის სსრ-ის, აქარისტანის ავტონ. სსრ-ის და სამხრეთ-ოსეთის ავტონ. ოლქის საარჩევნო კომისიებში კუთვნილებისამებრ.

42. საარჩევნო კომისიების მუშაობის დამთავრების შემდეგ საარჩევნო უფლებას მოკლებულ პირთა საჩივრების გამო აღძრულ საკითხებს გადასწყვეტენ სათანადო საბჭოები და აღმასრულებელი კომიტეტები.

43. მიმართვა საარჩევნო საქმეების გამო მთავრობის დაწესებულებისა და თანამდებობის პირისათვის და ამ დაწესებულების და პირის მიერ გაცემული დოკუმენტები და ცნობები არჩევნების საქმეების შესახებ განთავისუფლებულია ყოველივე გამოსალებისაგან.

44. იმ მოქალაქის მიმართ, რომელსაც საჩივარი აქვს შეტანილი ზემდგომი ორგანოებში მისთვის საარჩევნო უფლების უმართებულოდ ჩამორთმევის გამო, სანამ ეს საჩივარი საბოლოოდ არ იქნება განხილული, არ შეიძლება განხორციელებულ იქნეს უფლების რომელიმე შეზღუდვა, გარდა საბჭოთა არჩევნებში მონაწილეობის უფლების შეზღუდვისა.

45. ის პირნი, რომლებიც ხელს შეუშლიან ამომრჩევლებს მათი საარჩევნო უფლების განხორციელების დროს, პასუხისმგებაში უნდა იქნენ მიცემული საქ. სსრ სისხლის სამართლის კოდექსის თანახმად.

თ ა ვ ი VI.

საარჩევნო კრებები.

46. თვითეული ამომრჩეველი განახორციელებს საარჩევნო უფლებას მარტო ერთ ადგილას, უკეთუ მუშაობისა და პროფესიის მიხედვით ამა თუ იმ პირს საარჩევნო უფლება ეკუთვნის რამდენსამე დაწესებულებაში ან რამდენსამე ადგილას, მას ნება ეძლევა აირჩიოს ადგილი, სადაც მიიღებს იგი მონაწილეობას არჩევნებში.

47. საბჭოს წევრებისა და კანდიდატების არჩევა მოხდება საარჩევნო კრებაზე.

48. საარჩევნო კრებას მოიწვევს საარჩევნო კომისია ან მისი რწმუნებული. საარჩევნო კრების მოწვევის დრო და ადგილი ამომრჩევლებს უნდა ეცნობოს სახელმისათხოვის უწყებების დაგზავნით, აგრეთვე შესაფერი განცხადების თვალსაჩინო ადგილზე გამოკიდებით, ბეჭედით ორგანოში გამოცხადებით და სხვა გზით, ხუთი დღით ადრე მაინც კრების გახსნამდე.

შენიშვნა. ქალ. ტფილისში ის ამომრჩეველი, რომელნიც შედიან ამა თუ იმ საწარმოსა და დაწესებულებაში ან შეკავშირებული არიან პროფესიონალურ ორგანიზაციებად, არჩევნებში მონაწილეობისათვის მიიღებენ თვითან საწარმოსა და დაწესებულებისაგან ან პროფესიონალური კავშირისაგან განსაკუთრებულ ბილეთებს.

49. ქალაქებში და ქალაქის ტიპის დასახლებულ ადგილებში, აგრეთვე მსხვილ საბჭოთა მეურნეობებში საარჩევნო კრებები მოეწყობა წარმოებითი ერთეულების (საწარმო, დაწესებულება), პოლიციის კავშირების და მსხვილ საბჭოთა მეურნეობების მიხედვით.

მსხვილ სამრეწველო საწარმოებში არჩევნები შეიძლება მოხდეს ცალკეულ საამჟროებში, სათანადო საქალაქო საბჭოს ან სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტის ნებართვით.

50. ის მოქალაქეები, რომელნიც არ მუშაობენ საწარმოებში და დაწესებულებებში და შეკავშირებული არ არიან პროფესიონალურ ორგანიზაციებად, როგორც მაგალითად შინა-მრეწველები, დიასახლისები, მეეტლეები და სხვები, მონაწილეობას მიიღებენ არჩევნებში დანარჩენ ამომრჩევლებთან ერთად წარმო-

ებითი და პროფესიონალური ერთეულების მიხედვით მოწყობილ საარჩევნო კრებებზე, ან მათთვის ცალკე მოეწყობა საარჩევნო კრებები ტერიტორიალური ერთეულების მიხედვით (რაიონი, უბანი და სხვ.).

51. საარჩევნო უბნები ქალაქებში ისეთი ანგარიშით უნდა იქნენ მოწყობილი, რომ თვითეული უბნიდან ასარჩევი იყოს არა უმეტეს ხუთი დეპუტატისა.

52. სასოფლო საბჭოს არჩევნები მოეწყობა თვითეულ სოფელში ცალკე, თუ სოფელში 100 მცხოვრები მაინც არის. როდესაც მცხოვრებთა რიცხვი უფრო ნაკლებია, მაშინ ცალკეული სოფლები გაერთიანდებიან ერთი დეპუტატის ასარჩევად.

საარჩევნო კომისიას შეუძლიან თვითეული სოფელი დაკვის ცალკეულ საარჩევნო უბნებად, იმ პირობით, რომ თვითეულ საარჩევნო უბანში მცხოვრებთა რიცხვი 100-ზე ნაკლები არ იყოს.

53. სამანქანო-სატრაქტორო სადგურებისა და არა მსხვილ საბჭოთა მეურნეობის მუშები მონაწილეობას მიიღებენ უახლოეს სასოფლო საბჭოს არჩევნებში.

კოლმეურნეები საერთო წესით მონაწილეობას ღებულობენ არჩევნებში სოფლის დანარჩენ მოსახლეობასთან ერთად.

54. დეპუტატების არჩევა საქალაქო საბჭოსათვის იმ სოფელებში, რომელიც ქალაქთან არიან შეერთებული, საერთო წესით მოხდება იმ საარჩევნო კრებაზე, რომელიც მოწვევულია სასოფლო საბჭოს ასარჩევად.

დეპუტატების არჩევა სახალხო და საქალაქო საბჭოსათვის მოხდება განცალკევებული კენჭის ყრით.

55. საარჩევნო კრებაზე უნდა მოხდეს ყველა იმ პირთა აღნუსხვა, ვინც არჩევნებზე გამოცხადდა.

საარჩევნო კრებას შეიძლება დაესწროს მხოლოდ ის, ვისაც საარჩევნო უფლება აქვს.

56. საარჩევნო კრება კანონიერია, უკეთუ მას დაესწრო ამომრჩეველთა საერთო რიცხვის 50 პროცენტი მაინც.

საარჩევნო კრება, რომელზედაც ამომრჩეველთა 50 პროცენტზე ნაკლები ნაწილი გამოცხადდა ვერ შესდგება, რის შესახებაც დაიწერება ოქმი. ეს ოქმი დაერთვება საარჩევნო საქმეს, ხოლო საარჩევნო კრება გადაიტანება რომელიმე უახლოესი დოსისათვის, რაც ეცნობება ამომრჩეველებს.

შენიშვნა. საქართველოს სსრ-ის მთან ადგილებში საარჩევნო კრება კანონიერად ჩაითვლება, უკეთუ მას დაესწრება ამომრჩეველთა საერთო რიცხვის 40 პროცენტი მაინც.

57. საარჩევნო კრებას გახსნის საარჩევნო კომისიის რწმუნებული და გაუძლევება სამი პირის შემადგენლობით არჩეული პრეზიდიუმი საარჩევნო კომისიის რწმუნებულის თავმჯდომარეობით.

საარჩევნო კრების გახსნის შემდეგ თავმჯდომარე ვალდებულია:

ა) გააცნოს კრების დამსტრეტ არჩევნების წესი და წაიკითხოს ამა ინსტრუქციის 1-6, 46-58, 55-56 და 58-71 მუხლები;

ბ) გამოაცხადოს ამომრჩეველთა რიცხვი და არჩევნებზე მოსულ პირთა რიცხვი;

გ) გამოაცხადოს კანდიდატების სიები და ცალკეული კანდიდატურები, რომელიც შემოვიდა საარჩევნო კრებამდე ან თვით საარჩევნო კრებაზე, იმის აღნიშვნით, თუ ვის მიერ არიან დასახელებული კანდიდატების სიები;

დ) გამოაცხადოს იმ პირთა რიცხვი, რომელიც ამ საარჩევნო კრების მიერ უნდა იქნებ არჩეული.

58. საარჩევნო კრების დღის წესრიგი უნდა დაამტკიცოს თვით საარჩევნო კრებამ.

59. კენჭის ყრა საარჩევნო კრებაზე მოხდება ან სიებით ან ცალკე კანდიდატურებით, როგორც ამას კრება გადასწყვეტს.

შენიშვნა. სიების კენჭის ყრის დროს შესაძლოა ცალკე კანდიდატის გამორიცხვა ამა თუ იმ სიიდან.

60. კანდიდატთა სიები ან ცალკე კანდიდატურები შეიძლება დასახელებულ იქნეს საზოგადოებრივი, პარტიული და პროფესიონალური ორგანიზაციების ან ცალკე მოქალაქეების მიერ, როგორც საარჩევნო კრებაზე, ისე ამ კრებამდეც კანდიდატთა სიების პრესაში გამოქვეყნებით ან თვალსაჩინო ადგილზე გამოვკრის საშუალებით.

61. საარჩევნო კომისიას და მის რწმუნებულს არა აქვთ უფლება წამოაყენონ თავის მხრით არც კანდიდატთა სია, არც ცალკეული კანდიდატურა.

62. თვითეული კანდიდატის შესახებ შეიძლება მოხდეს წინასწარი მსჯელობა, თუ კრება ამას საჭიროდ დაინახავს.

63. არჩევნები სწარმოებს ხდილი კენჭის ყრით. არჩეულად ჩაითვლება ის პირი, ვინც კენჭის ყრის დროს მიიღებს იმ ამომრჩეველთა ხმების უმრავლესობას, რომელიც საარჩევნო კრებას დაესწრენ.

64. დეპუტატებს საარჩევნო კრება აირჩევს იმ რაოდენობით, რომ 1 დეპუტატი მოდიოდეს: ტფილისში—200 ამომრჩეველზე, ქუთაისში—150 ამომრჩეველზე, ბათომში—100 ამომრჩეველზე, სოხუმში, ფოთში, გორში, ჭიათურაში, სტალინისში, ბორჯომში და სამტრედიაში—50 ამომრჩეველზე, დანარჩენ ქალაქებში და სოფლებში ყოველ 100 მცხოვრებზე.

65. უკეთს საარჩევნო უბანში აღმოჩნდება საარჩევნო ნორმებს ზევით ამომრჩეველთა ან მცხოვრებთა განსაზღვრული რიცხვი, რომელიც თუმცა საარჩევნო ნორმას ეცა აღწევს, მაგრამ ამ ნორმის ნაკლებზე ნაკლები არ არის, საბჭოში არჩეული უნდა იქნეს დამატებითი დეპუტატი.

66. ის საწარმო, სადაც ამომრჩეველთა რიცხვი თუმცა სრულ საარჩევნო ნორმას არ შეადგენს, მაგრამ ამ ნორმის 50 პროცენტს აღწევს, აირჩევს საბჭოში ერთ დეპუტატს.

67. წითელი არმიის საკადრო ნაწილები და ტერიტორიალური ნაწილების მუდმივი შემადგენლობა იმ სოფლებში და ქალაქებში, სადაც დანარჩენი მოსახლეობა აირჩევს საბჭოში დეპუტატებს მცხოვრებთა საერთო რიცხვის მიხედვით, აირჩევენ თავიანთ დეპუტატებს იმ ანგარიშით, რომ ერთი დეპუტატი მოდიოდეს 50 ამომრჩეველზე, ხოლო იმ ქალაქებში, სადაც დანარჩენი მოსახლე-

ობა აირჩევს დეპუტატებს ამომრჩეველთა რიცხვის მიხედვით, წითელი არმიის საკადრო ნაწილები და ტერიტორიალური ნაწილების მუდმივი შემადგენლობა აირჩევენ დეპუტატებს იმავე ანგარიშით, როგორც დანარჩენი მოსახლეობა.

უკეთუ წითელი არმიის საკადრო ნაწილში ან ტერიტორიალურ ნაწილის მუდმივ შემადგენლობაში ამა თუ იმ ადგილზე არ არის ამომრჩეველთა ის რიცხვი, რაც საჭიროა ერთი დეპუტატის არჩევისათვის, ეს ნაწილი არჩევნებისათვის შეუერთდება სხვა ნაწილებს, რომელნიც იმავე ადგილას იმყოფებიან, ხოლო თუ სხვა ნაწილები არ არიან, ან თუ გაერთიანების შემდეგაც ამომრჩეველთა რიცხვი იმ რაოდენობაზე ნაკლები აღმოჩნდება, რაც ერთი დეპუტატის არჩევისათვის არის საჭირო, ნაწილი, ან გაერთიანებული ნაწილები აირჩევენ საპროში ერთ დეპუტატს.

შენიშვნა. წითელი არმიის ტერიტორიალური ნაწილების ცვალებადი შემადგენლობა აირჩევს დეპუტატებს დანარჩენ მოსახლეობასთან ერთად და მათი თანასწორი ნორმით.

68. უკეთუ იმ სოფლების ტერიტორიაზე, რომლებიც ქალაქებთან არიან შეერთებული, რომელიმე საარჩევნო უბანში არ აღმოჩნდება მცხოვრებთა საკმაო რიცხვი ერთი დეპუტატის ასარჩევად საქალაქო საბჭოსათვის, ამ უბნის ამომრჩეველი უნდა შეუერთდენ სხვა საარჩევნო უბნების ამომრჩეველთ იმავე სასოფლო საბჭოს ტერიტორიის ფარგლებში იმ წესით, რასაც სათანადო საარჩევნო კომისია დაადგენს.

69. თვითეული საარჩევნო კრება, დეპუტატების გარდა, აირჩევს მათ კანდიდატებს დეპუტატთა რიცხვის ერთი მესამედის რაოდენობით.

საბჭოს წევრთა კანდიდატები აირჩევიან დეპუტატების შემდეგ ცალკე კენჭის ყრით.

70. სასოფლო საბჭოს წევრებისა და მათი კანდიდატების არჩევის შემდეგ საარჩევნო კრება ცალკე კენჭის ყრით აირჩევს სასოფლო სარევიზიო კომისიას ხუთი წევრისა და ორი კანდიდატის შემადგენლობით.

71. უკეთუ სასოფლო საბჭოს არჩევნები რამდენსამე საარჩევნო უბანში მოხდება, სარევიზიო კომისიის წევრად დასახელებული პირის კანდიდატურა განტაცებულ უნდა იქნეს ყველა საარჩევნო უბანში. ამასთანავე არჩეულად ის კანდიდატი ჩაითვლება, რომელიც ხმათა უმეტესობას მიიღებს, ხოლო არა ნაკლებ საარჩევნო უბანში მონაწილე მოქალაქეების მიერ მიცემულ ხმათა რიცხვის ნახევრისა.

შენიშვნა. სარევიზიო კომისიის შემადგენლობაში არ შეიძლება არჩეულ იქნეს ის პირი, რომლებიც ამჟამად სასოფლო საბჭოს წევრებათ ან კანდიდატებათ ითვლებიან, ის პირები კი, რომელნიც წინეთ იყვნენ სასოფლო საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეულ ან წევრად ან პასუხისა-გები მომზადების თანამდებობა ეჭირით სასოფლო საბჭოში, შეიძლება არჩეულ იქნეს სარევიზიო კომისიაში მხოლოდ იმ შემთხვევაში უკეთუ გასულია არა ნაკლებ ერთი წლისა, რაც ისინი პრეზიდიუმის შემადგენლობიდან გამოიიდნენ ან სასოფლო საბჭოში პასუხსაგები მომუშავის თანამდებობა დასტოურებს.

72. საარჩევნო კრების მსვლელობისა და შედეგების შესახებ შედეგნილი უნდა იქნეს, თანახმად შემოღებული ფორმისა, ოქმი, რომელსაც ხელს მოაწერს საარჩევნო კრების პრეზიდიუმი.

73. ყოველი არჩეული დეპუტატის შესახებ საარჩევნო კომისიამ უნდა შეადგინოს ანკეტა, თანახმად დამტკიცებული ფორმისა.

თ ა ვ ი VII.

არჩევნების გაუქმების წესი, ხელახალი არჩევნები და დამატებითი არჩევნები

74. არჩევნები გაუქმებულ იქნება, უკეთუ მათი წარმოების დროს დარღვეული იქნა სსრ კავშირის, ა.-კ. სფსრ-ის ან საქ. სსრ-ის კონსტიტუცია, სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის საარჩევნო ინსტრუქცია, ან ამა ინსტრუქციით დადგენილი წესები.

75. ზემოაღნიშნული მიზეზებით არჩევნები შეიძლება გაუქმებულ იქნეს:

- ა) მთლიანად, ე. ი. საბჭოს წევრთა მთელი შემადგენლობის მიმართ;
- ბ) ნაწილობრივ, ე. ი. საბჭოს ცალკეულ წევრთა მიმართ, ცალკეულ საარჩევნო უბნებში.

76. არჩევნები გაუქმებულ იქნება მთლიანად, უკეთუ დეპუტატთა ნახევარზე მეტი არჩეულია უკანონოდ (მ. 74). უკეთუ უკანონო არჩევნებს აღიღილი ქონდა ერთსა ან რამდენსამე საარჩევნო უბანში, სადაც არჩეულია დეპუტატების საერთო რიცხვის უმცირესი ნაწილი, არჩევნები გაუქმებულ იქნება ნაწილობრივ ცალკეულ საარჩევნო უბანში.

77. არჩევნები შეიძლება გაუქმებულ იქნეს როგორც საქ. სსრ-ის შემადგენლობაში შემავალი რესპუბლიკისა, ოლქისა, ქალაქისა, ან რაიონის მთელს ტერიტორიაზე, ისე ამ ტერიტორიის ცალკეულ ნაწილში.

არჩევნების გაუქმება გამოცხადებულ უნდა იქნეს საყოველთაო ცნობისათვის ან აღიღილობრივ პრესაში ან ამონტრეკველთა კრებებზე.

78. არჩევნების მთლიანად გაუქმება მოხდება ზემდგომი აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილებით, ხოლო არჩევნების ნაწილობრივ გაუქმება მოხდება სათანადო სასოფლო და საქალაქო საბჭოს დადგენილებით.

შენიშვნა. იმ სოფლებში, რომლებიც ქალაქებთან არიან შეერთებული, სასოფლო საბჭოს არჩევნების მთლიანად გაუქმება მოხდება სათანადო საქალაქო საბჭოს დადგენილებით.

79. ყველა განცხადება და საჩივარი არჩევნების წარმოების გამო შეტანილ უნდა იქნეს წერილობით ან სიტყვიერად 7 დღის განმავლობაში არჩევნების შემდეგ იმ საარჩევნო კომისიაში, რომელიც არჩევნებს ხელმძღვანელობდა.

80. საარჩევნო კომისია წარუდგენს შემოსულ განცხადებასა და საჩივარს თავის ახსნა-განმარტებით ზემდგომ საარჩევნო კომისიას 3 დღის ვადაზე.

ზემდგომი საარჩევნო კომისია ვალდებულია განიხილოს აღნიშნული განცხადება და საჩივარი 7 დღის განმავლობაში მიღების შემდეგ.

უკეთუ საპირო იქნება არჩევნების მთლიანად ან ნაწილობრივ გაუქმება, საარჩევნო კომისია აღძრავს საკითხს ამის შესახებ სათანადო აღმასრულებელი კომიტეტის ან საბჭოს წინაშე (მ. 78).

181. უკეთუ არჩევნები გაუქმებულ იქნა, ახალი არჩევნები მოხდება ამა ინსტრუქციით გათვალისწინებული წესით, ამასთანავე თუ არჩევნები მთლიანად იქნა გაუქმებული, ახალი არჩევნების მოსახდენად მოყვითა შესაფერი საარჩევნო კომისია ახალი შემადგენლობით, ხოლო უკეთუ არჩევნები ნაწილობრივ იქნა გაუქმებული, უნდა დანიშნულ იქნენ სათანადო საარჩევნო კომისიის ახალი რწმუნებულები.

182. მუშაობის დამთავრების შემდეგ საარჩევნო კომისიებმა უნდა გადასცენ მთელი საარჩევნო გასალა სათანადო საბჭოს ან აღმასრულებელ კომიტეტს.

183. უკეთუ დეპუტატები ამომრჩევლების მიერ უკან გაწვეულ იქნებიან, საბჭო მათ ნაცვლად ჩარიცხავს საბჭოს წევრებად კანდიდატებს იმავე საარჩევნო უბნილან, საიდანაც დეპუტატები იყნენ არჩეული, ხოლო თუ კანდიდატები არ არიან, დანიშნავს საბჭოს წევრების დამატებით არჩევნებს. დამატებითი არჩევნები დამტკიცებულ უნდა იქნეს სათანადო სასოფლო ან საქალაქო საბჭოს მიერ.

184. წინა მუხლში აღნიშნული წესი შესრულებული იქნება იმ შემთხვევაში შიაც, უკეთუ საბჭოს ესა თუ ის წევრი გარდაიცვალა ან საბჭოს შემადგენლობიდან გამოვიდა საცხოვრებელი ადგილის გამოცვლისა, საარჩევნო უფლების დაკარგვისა და სხვა მიზეზების გამო.

185. უკეთუ 183—84 მუხლებით გათვალისწინებულ შემთხვევაში დამატებით ასარჩევია საბჭოს მთელი შემადგენლობის ნახევარზე მეტი, უნდა მოხდეს ხელახალი არჩევნები მთლიად საბჭოს შემადგენლობისა არსებული წესით. ხელახალი არჩევნები დამტკიცებულ უნდა იქნეს ზემდგომი საბჭოსა და აღმასრულებელი კომიტეტის მიერ.

186. უკეთუ საბჭოს პრეზიდიუმის ან აღმასრულებელი კომიტეტის შემადგენლობიდან გამოვიდა მისი წევრების ნახევარზე მეტი, უნდა მოხდეს არჩევნები საბჭოს პრეზიდიუმის და აღმასრულებელი კომიტეტის მთელი შემადგენლობისა.

თ ა 3 ი VIII.

საბჭოებისა და საბჭოთა ყრილობების მოწვევა.

87. ახლად არჩეულ საბჭოს პირველ საორგანიზაციო სხდომას მოიწვევს სათანადო საარჩევნო კომისია. ამ სხდომაზე აირჩევიან საბჭოს აღმასრულებელი ორგანოები. საბჭოთა ყრილობებს მოიწვევენ სათანადო აღმასრულებელი კომიტეტები.

88. საარაიონო საბჭოთა ყრილობა შესდეგა ყველა იმ სასოფლო საბჭოს წარმომადგენელთაგან, რომლებიც რაიონის ტერიტორიაზე იმყოფებიან, იმ ამ გარიშით, რომ ერთი დელეგატი მოდიოდეს ყოველ 300 მცხოვრებზე, და რაი-

ონში შემავალ საქალაქო საბჭოების წარმომადგენელთაგან — იმ ანგარიშით, რომ ერთი დელეგატი მოდიოდეს ყოველ 60 ამომრჩეველზე.

89. სრულიად საქართველოს საბჭოთა ყრილობა შესდგება აფხაზეთის სსრ-ის, აჭარისტანის აკტონ. სსრ-ის, სამხრეთ-ოსეთის აკტონ. ოლქისა და სარაიონის საბჭოთა ყრილობების წარმომადგენელთაგან იმ ანგარიშით, რომ ერთი დელეგატი მოდიოდეს ყოველ 10.000 მცხოვრებზე იმ ადგილების საბჭოთაგან, სადაც საბჭოებს ირჩევენ მცხოვრებთა რაოდენობის მიხედვით, და ერთი დელეგატი — ყოველ 2.000 ამომრჩეველზე იმ ადგილების საბჭოთაგან, სადაც საბჭოებს ირჩევენ ამომრჩეველთა რაოდენობის მიხედვით, აგრეთვე ტფილისის, ქუთაისის და ფოთის საქალაქო საბჭოების წარმომადგენელთაგან — იმ ანგარიშით, რომ ერთი დელეგატი მოდიოდეს ქალაქის მოსახლეობის ყოველ 2.000 ამომრჩეველზე და ერთი დელეგატი — ამ ქალაქებთან შეერთებული სოფლების ყოველ 10.000 მცხოვრებზე.

90. აფხაზეთის სსრ-ის, აჭარისტანის აკტონ. სსრ-ის, სამხრეთ-ოსეთის აკტონ. ოლქისა და სარაიონის საბჭოთა ყრილობები და ტფილისის, ქუთაისის და ფოთის საქალაქო საბჭოები, სრულიად საქართველოს საბჭოთა ყრილობისათვის დელეგატების არჩევასთან ერთად, აირჩევენ დელეგატებს ამიერ-კავკისის საბჭოთა ყრილობისათვის: აფხაზეთის სსრ-ის, აჭარისტანის აკტონ. სსრ-ის, სამხრეთ-ოსეთის აკტონ. ოლქისა და სარაიონის ყრილობები — იმ ანგარიშით, რომ ერთი დელეგატი მოდიოდეს 15.000 მცხოვრებზე იმ ადგილების საბჭოთაგან, სადაც საბჭოებს ირჩევენ ამომრჩეველთა რაოდენობის მიხედვით, და ერთი დელეგატი — ყოველ 3.000 ამომრჩეველზე იმ ადგილების საბჭოთაგან, სადაც საბჭოებს ირჩევენ ამომრჩეველთა რაოდენობის მიხედვით, ხოლო ქალ. ტფილისის, ქუთაისის და ფოთის საქალაქო საბჭოები იმ ანგარიშით, რომ ერთი დელეგატი მოდიოდეს ქალაქის მოსახლეობის ყოველ 3.000 ამომრჩეველზე და ერთი დელეგატი — ამ ქალაქებთან შეერთებული სოფლების ყოველ 10.000 მცხოვრებზე.

91. საბჭოს და საბჭოთა ყრილობის არჩევის კანონიერებისა და დეპუტატების რწმუნებულების სისწორის შესამოწმებლად თვითული საბჭო და საბჭოთა ყრილობა აირჩევს სამანდატო კომისიას.

შემოწმების შედეგებს სამანდატო კომისია მოახსენებს კუთვნილებისამებრ საბჭოს ან საბჭოთა ყრილობას, რომელიც გამოიტანს დადგენილებას არჩევნების სისწორისა და დეპუტატების უფლებამოსილების შესახებ.

შენიშვნა. წინანდელი შემადგენლობის საბჭოს პრეზიდიუმისა და აღმასრულებელი კომიტეტის წევრის, რომელიც საბჭოს ან საბჭოთა ყრილობის წევრი არ იქნება, აქვს სათათბირო ხმის უფლება.

92. საბჭოს და საბჭოთა ყრილობას შეუძლიან პრეზიდიუმისა და აღმასრულებელი კომიტეტის შემადგენლობაში, აგრეთვე თავის წარმომადგენლად ზემდგომი ყრილობისათვის, არა მარტო ამ საბჭოს და ყრილობის წევრი, არამედ ყოველი მოქალაქე, რომელსაც საარჩევნო უფლება აქვს მიუხედავად მისი საცხოვრებელი ან სამუშაო ადგილისა.

93. საბჭოთა კონსტიტუციის მუშაობის დაწყების შემდეგ ხელისუფლების აღმასრულებელ ირგანოდ დარჩება წინანდელი შემადგენლობის სათანადო აღმასრულებელი კომიტეტი, რომლის ფუნქციებიც შესწყდება მხოლოდ ახალი შემადგენლობის აღმასრულებელი კომიტეტის პირველი სხდომის მოწვევის შემდეგ.

94. ახალ საბჭოს პრეზიდიუმისა და აღმასრულებელი კომიტეტის არჩევის შემდეგ მოწვეულ უნდა იქნეს აღნიშნული ორგანოების საორგანიზაციო სხდომა წინანდელ შემადგენლობასთან ერთად.

შენიშვნა. წინანდელი შემადგენლობის პრეზიდიუმისა და აღმასრულებელი კომიტეტის წევრებს, რომელიც არჩეული არ იქნებიან ახალ შემადგენლობაში, აგრეთვე მის განყოფილებათა გამგებს ამ სხდომაზე აქვს სათათირო ხმის უფლება.

95. ახლად არჩეული საბჭოს თავმჯდომარე, აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე და განყოფილებათა გამგები, როდესაც თავის მოვალეობის აღსრულებას შეუდგებიან, მიიღებენ სათანადო აქტებით საქმეებსა და ქონებას წინანდელი შემადგენლობისაგან.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე მ. ცხაკაია.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდიგარი ს. თელია.

1930 წ. ნოემბრის 9.

ტფილისი—სასახლე.